



კვირის მიმოხილვა

კვირის მიმოხილვა | საქართველო
5 თებერვალი, 2018

ეკონომიკა

ეკონომიკური ზრდა: საქსტატის წინასწარი მონაცემებით, 2017 წლის დეკემბერში რეალური მშპ-ს ზრდამ 4.7% შეადგინა. ამასთან, 2017 წელს მშპ 4.8%-ით გაიზარდა. წინასწარი შეფასებით, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 2017 წლის დეკემბერში ზრდა აღინიშნებოდა შემდეგ დარგებში: კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა, სასტუმროები და რესტორნები, დამამუშავებელი მრეწველობა, უძრავი ქონების ოპერაციები, ხოლო კლება დაფიქსირდა აირისა და წყლის წარმოებისა და განაწილების, კავშირგაბმულობის, ტრანსპორტისა და მშენებლობის სექტორებში. აღნიშნული მაჩვენებლები დღგ-ის გადამხდელი საწარმოების ბრუნვების, ფისკალური და მონეტარული მონაცემების საფუძველზე იანგარიშება.


ინფლაცია: საქსტატის მონაცემებით, 2018 წლის იანვარში წლიურად ფასები 4.3%-ით გაიზარდა, ხოლო საბაზო ინფლაციამ 3.0% შეადგინა. წლიური ინფლაციის ფორმირებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებში: სურსათი და უალკოჰოლო სასმელები (+4.7%), ტრანსპორტი (+6.6%) და ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო (+11.5%). 2018 წლის იანვარში წინა თვესთან შედარებით ფასები 0.6%-ით გაიზარდა. თვის ინფლაციის ფორმირებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებში: სურსათი და უალკოჰოლო სასმელები (+1.7%) და საცხოვრებელი, წყალი, ელექტროენერჯია, აირი (+2.7%).

მონეტარული პოლიტიკა: საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2018 წლის 31 იანვარს მიიღო გადაწყვეტილება რეფინანსირების განაკვეთის უცვლელად დატოვების შესახებ, რაც 7.25% შეადგენს. ეროვნული ბანკის მიხედვით, 2017 წლის ბოლოს ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი საგრძნობლად გაუფასურდა, რამაც გაზარდა ზეწოლა ინფლაციაზე და ხელი შეუწყო ინფლაციური მოლოდინების გამძლიერებას. ბოლო პერიოდში ნომინალურ ეფექტურ გაცვლით კურსს გამყარების ტენდენცია აქვს. თუმცა, წინა პერიოდის გაუფასურების გავლენა ინფლაციაზე ჯერ სრულად არ ამოწურულა. ამასთან, 2017 წელს მოსალოდნელზე მაღალი ეკონომიკური ზრდის მიუხედავად, ერთობლივი მოთხოვნა კვლავ პოტენციურ დონეზე ქვემოთ ნარჩუნდება, რაც ინფლაციაზე შემცირების მიმართულებით მოქმედებს. შესაბამისად, კომიტეტმა ამ ეტაპზე მონეტარული პოლიტიკის დამატებითი გამკაცრება საჭიროდ არ მიიჩნია. ამასთან, არსებული პროგნოზით, წლიური ინფლაციის მაჩვენებელი 2018 წლის პირველი თვეების განმავლობაში შემცირდება და წლის განმავლობაში საშუალოდ მიზნობრივ დონესთან ახლოს იქნება. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შემდგომი სხდომა 2018 წლის 14 მარტს გაიმართება.

ეკონომიკური ინდიკატორები			
	2017	2016	2015
მშპ (%-ლი ცვლილება)	4.8%	2.8%	2.9%
მშპ ერთ სულზე (ppp)	...	10,044	9,601
მშპ ერთ სულზე (აშშ \$)	...	3,865	3,767
მოსახლეობა (მლნ)	3.7	3.7	3.7
ინფლაცია, პერიოდის ბოლო	6.7%	1.8%	4.9%
მთლიანი რეზერვები (მლრდ აშშ \$)	3.0	2.8	2.5
მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი (მშპ-ს %)	7.1% ⁽¹⁾	12.8%	12.0%
ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %)	...	4.1%	3.7%
სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %)	...	44.6%	41.4%

წყარო: ოფიციალური მონაცემები

1) 2017 წლის პირველი ცხრა თვის მდგომარეობით



წყარო: საქსტატი

შენიშვნა: წინასწარი შეფასება 4Q17-თვის

საერთაშორისო რეიტინგები, 2017-18

- ბიზნესის კეთების სიმარტივე №9 (საუკეთესო 10-ეული)
- ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი №13 (ძირითადად თავისუფალი)
- გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი №67

წყარო: მსოფლიო ბანკი, Heritage Foundation და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი

საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი

STANDARD & POORS

BB-

სტაბილური დასატრფილი ნოემბერი-2016

Moody's INVESTORS SERVICE

Ba2

სტაბილური დასატრფილი სექტემბერი-2017


FitchRatings

BB-


სტაბილური დასატრფილი სექტემბერი-2017

წყარო: სარეიტინგო სააგენტოები

წლიური ინფლაცია თვის ინფლაცია



წყარო: საქსტატი






ფულადი ბაზარი

რეფინანსირების სესხები: საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გასულ კვირას 987.5 მლნ ლარის (395.6 მლნ აშშ დოლარი) ღირებულების 7-დღიანი რეფინანსირების სესხები გასცა.


საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები: უახლოესი აუქციონი დაგეგმილია 2018 წლის 7 თებერვალს, სადაც 1-წლიანი 40 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები გაიყიდება.

სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი




წყარო: სებ
შენიშვნა: ბოლო აუქციონის მონაცემები.

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი




წყარო: სებ

სადავოზიტო სერტიფიკატები (საშუალო შეწონილი განაკვეთი)



წყარო: სებ

ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სებ
შენიშვნა: ინდექსის ზრდა ნიშნავს გაცვლითი კურსის გაზარდვას, ხოლო კლება - გაცვლითი კურსის გაუფასურებას




ობლიგაციები

კორპორატიული ვერობლიგაციები: საქართველოს ბანკის ჯგუფის ვერობლიგაცია (BGEOLN) დაიხურა 5.0%-იანი შემოსავლიანობით, ფასით - 104.9 (უცვლელი წინა კვირასთან შედარებით). საქართველოს ბანკის ლარში დენომინირებული ვერობლიგაცია GEBGG 06/20-ით ვაჭრობა დაიხურა ფასით 100.5 (უცვლელი წინა კვირასთან შედარებით), 10.7%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის ვერობლიგაციები GEOROG 04/21-ით ვაჭრობა დაიხურა ფასით 107.2 (-0.4% წინა კვირასთან შედარებით), 4.3%-იანი შემოსავლიანობით. საქართველოს რკინიგზის ვერობლიგაცია (GRAIL) ივაჭრებოდა 112.1 ფასად (-0.4% წინა კვირასთან შედარებით), 4.7%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს სუვერენული ვერობლიგაცია (GEORG) დაიხურა ფასით - 109.7 (-0.4% წინა კვირასთან შედარებით), 3.6%-იანი შემოსავლიანობით.

ვერობლიგაციები (შემოსავლიანობა %)



წყარო: ბლუმბერგი


	Local bonds					Eurobonds				
	GWP 12/21	M2RE 10/19	Nikora 03/18	Nikora 06/19	GLC 08/20	GEBGG 06/20	GEOROG 04/21	BGEOLN 07/23	GEORG 04/21	GRAIL 07/22
მოცულობა მლნ აშშ \$	30*	25.0	5.0	10.0	10.0	500*	250	350	500	500
გამოშვების თარიღი	12/16	10/16	03/16	08/17	8/17	06-17	04/16	07/16	04/11	07/12
დაფარვის თარიღი	12/21	10/19	03/18	06/19	8/20	06-20	04/21	07/23	04/21	07/22
კუპონი, %	10.50**	7.5	11.0	9.0	7.00	11.0	6.750	6.000	6.875	7.750
Fitch/S&P/Moody's	BB-/	-/-	-/-	-/-	n/a	BB-/Ba2	BB-/B+	BB-/B1	BB-/BB-/Ba2	B+/B+
საშუალო ფასი, აშშ \$	n/a	102.8	101.3	101.3	101.19	100.5	107.2	104.9	109.7	112.1
საშუალო პროცენტი %	n/a	5.75%	8.5%	3.8%	6.50%	10.7	4.3	5.0	3.6	4.7
Z-spread, bps	n/a	n/a	n/a	n/a	n/a	346.1	179.6	227.4	107.4	206.7

წყარო: ბლუმბერგი

*GWP 12/21 და GEBGG 06/20 მოცემულია ლარში

** მცურავი განაკვეთი (სებ-ის რეფინანსირების განაკვეთის დამატებული 3.5%)

Georgian Eurobond universe



წყარო: ბლუმბერგი

აღმოსავლეთ ევროპის 10-წლიანი სუვერენული ვერობლიგაციების ძირითადი მონაცემები

ქვეყანა	მოცულობა, მლნ აშშ \$	კუპონი, %	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody's)	საშუალო ფასი, აშშ \$	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
საქართველო	500	6.875%	12/04/2021	BB-/BB-/Ba2	109.7	3.6	107.4
აზერბაიჯანი	1,250	4.750%	18/03/2024	BB+/BB+/Ba1	103.7	4.1	133.0
ბულგარეთი	323	5.000%	19/07/2021	BBB-/BB+/Baa2	117.0	0.1	-30.3
ხორვატია	1,250	3.875%	30/05/2022	BB-/BB-/Ba2	111.6	1.1	75.0
უნგრეთი	3,000	6.375%	29/03/2021	BBB-/BBB-/Baa3	110.1	3.0	45.1
რუმინეთი	2,250	6.750%	07/02/2022	BBB-/BBB-/Baa3	113.3	3.2	55.7
რუსეთი	3,500	5.000%	29/04/2020	BBB-/BB+/Ba1	104.4	3.0	55.5
თურქეთი	2,000	5.625%	30/03/2021	BB+/BB-/Ba1	104.8	4.0	145.6

წყარო: ბლუმბერგი




აქციები

BGEO ჯგუფის (BGEO LN) აქციები დაიხურა 36.98 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -2.53% წინა კვირასთან შედარებით და +3.96% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 354 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 36.56 – 37.70 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 73 ათასი აქცია შეადგინა. FTSE 250 ინდექსი, რომელშიც BGEO შედის, წინა კვირასთან დაიკლო 1.45%-ით ხოლო წინა თვესთან დაიკლო 1.71%-ით. ნავაჭრი აქციების მოცულობამ კომპანიის საბაზრო კაპიტალიზაციის 0.65% შეადგინა.


თიბისი ბანკის ჯგუფის (TBCG LN) აქციები დაიხურა 16.02 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (-8.25% წინა კვირასთან შედარებით და -8.46% წინა თვესთან შედარებით). ვაჭრობის მოცულობამ 84 ათასს გადააჭარბა, GBP 15.68 – 17.24 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 15 ათასი აქცია შეადგინა.

საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის (GHG LN) აქციები დაიხურა 3.22 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (-6.67% წინა კვირასთან შედარებით და -9.30% წინა თვესთან შედარებით). ვაჭრობის მოცულობამ 38 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 3.20 – 3.44 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 10 ათასი აქცია შეადგინა. მოცემულ კვირაში ნავაჭრი აქციების მოცულობამ კომპანიის საბაზრო კაპიტალიზაციის 0.03% შეადგინა.


BGEO ჯგუფი (BGEO LN)



თიბისი ბანკის ჯგუფი (TBCG LN)



საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი (GHG LN)



აღმოსავლეთ ევროპის ბანკები								
კოდი	აქციის ფასი, აშშ \$	კაპიტალიზაცია, მლნ აშშ \$	1თვე, ცვლ.	3თვე, ცვლ.	6თვე, ცვლ.	წლის დას-დან, ცვლ.	წ/წ ცვლ.	
BGEO	BGEO 36.98*	2,060	4.0%	3.4%	7.3%	4.0%	28.2%	
TBC	TBC 16.02*	1,199	-8.5%	-6.9%	-4.4%	-8.5%	10.9%	
Halyk Bank	HSBK 13.15	3,615	33.1%	38.7%	39.9%	33.1%	127.5%	
KKB	KKB 0.68	712	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	-54.7%	
VTB Bank	VTBR 1.89	12,248	3.3%	-9.6%	-2.1%	3.3%	-17.5%	
Vozrozhdenie Bank	VZRZ 9.17	218	5.3%	-9.7%	-11.9%	5.3%	-27.3%	
Sberbank	SBER 19.57	105,587	15.6%	34.8%	67.9%	15.6%	64.6%	

წყარო: ბლუმბერგი
*BGEO და TBC აქციების ფასი მოცემულია ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში

ჯანდაცვის სექტორის შესადარი კომპანიები								
კოდი	აქციის ფასი, აშშ \$	კაპიტალიზაცია, მლნ აშშ \$	1თვე, ცვლ.	3თვე, ცვლ.	6თვე, ცვლ.	წლის დას-დან, ცვლ.	წ/წ ცვლ.	
GHG*	GHG 3.22*	600	-9.3%	-9.9%	-15.2%	-9.3%	-8.0%	
Mouwasat	MOUWASAT 45.33	2,266	12.0%	5.8%	12.6%	12.3%	17.6%	
Fortis	FORH 2.30	1,195	-8.3%	3.8%	-5.0%	-8.3%	-17.0%	
Raffles	RFMD 0.85	1,499	1.0%	2.4%	-10.7%	1.0%	-17.7%	
IHH	IHH 1.54	12,696	6.8%	15.6%	11.8%	6.8%	8.9%	
Bangkok Chain	BCH 0.51	1,270	2.4%	1.3%	21.1%	2.4%	22.8%	
Netcare	NTC 2.13	3,131	4.9%	20.6%	14.8%	4.9%	-10.6%	

წყარო: ბლუმბერგი
*GHG აქციის ფასი მოცემულია ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი მკაცრად კონფიდენციალურია და მომზადებულია სს "გალტ ენდ თაგარტის" ("Galt & Taggart") მიერ, რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებელია. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოხილვებთან დაკავშირებით ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზარაბული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევით, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნესი-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტირებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ეს დოკუმენტი კონფიდენციალურია გალტ ენდ თაგარტის კლიენტებისთვის და კვლევითი მასალების დამოწმებისთვის. ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განხილვითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

გალტ ენდ თაგარტი
მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102, საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111
ელ. ფოსტა: gt@gt.ge